პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 აგვისტო, შაბათი, 1986 წ.
№ 164 (9325) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისში დამთავრდა მოზარდ რეგბისტთა საკავშირო შეჯიბრება — „ოქროს ოვალის“ ფინალური ტურნირი. გადამწყვეტ მატჩში თბილისის განათლების სამმართველოს რეგბისტებმა მშრალი ანგარიშით 23:0 დაამარცხეს ლენინგრადელი თანატოლები. წერილს ამ ტურნირის შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

# მშვიდობა და სპორტი განუყოფელია

## [თ]ავიდან ავიცილოთ [ო]მის ბოროტება

[საბ]ჭოთა კავშირის კომუნის[ტუ]რი პარტიის ცენტრალური კო[მი]ტეტის გენერალური მდივნის [მ.] გორბაჩოვის განცხადებას გუ[ლგ]რილი არ დაუტოვებია არც [ერ]თი ადამიანი, რომელიც მშვი[დო]ბას ესწრაფვის და კაცობრიო[ბის] ხვალინდელ დღეზე ფიქრობს. [მს]ოფლიოს უდიდესი საფრთხე [ემუ]ქრება ატომური იარაღის გა[მო]... რა სამწუხაროა, რომ ზოგი... ვერ შეუგნია ეს. აშშ-ის [მილ]იტარისტული დაჯგუფება ხომ ...ლაფერს აკეთებს იმისათვის, ...მ გამალებული შეიარაღება გა...რძოს.

[მა]გრამ თვით შეერთებულ შტა[ტებ]შიც სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ხვდება, რომ ეს უაზრობაა, ეს საუკუნის ბოროტებაა. ამიტომ ისინი მტკიცე პროტესტს გამოთქვამენ თავიანთი მთავრობის მიმართ.

სპორტი მშვიდობისა და მეგობრობის დესპანია. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა მოსკოვში კეთილი ნების თამაშებზე. დარწმუნებული ვარ: თავიანთი აქტიური მონაწილეობით ყველა კონტინენტის სპორტსმენებმა უნდა შეუწყონ ხელი ატომური და თერმობირთვული საშიშროების მოსპობას.

**ვიქტორ სანეევი,**
**სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი.**

## [ბ]ირთვული იარაღი [უ]ნდა აღიკვეთოს

[მთ]ელი პროგრესული მსოფლიო ...აღლებით ადევნებს თვალს სა[ბჭო]თა კავშირის დაუცხრომელ ...ოლას ბირთვული იარაღის სა...ლთაოდ აკრძალვისათვის. თუ [რა] საშინელებაა ომი, კარგად ვი[ცით] ჩვენ, ვეტერანებმა, ვის კისე[რზე]ც გადაიარა საბჭოთა ხალხის [19]41-1945 წლების სამამულო ომის [წარმ]ოუდგენელმა სიმძიმემ. ახლა, ...ა საომარ არსენალში ატომუ[რი] იარაღიც ჩადგა, ახალი ომი ...ავს დედამიწის საბოლოო გა...ურებას, კაცობრიობის მოსპო[ბას]. ამიტომაც ყველანი დარაზმუ[ლნი] უნდა ვიყოთ საიმისოდ, რომ ...სორებმა და მილიტარისტებ[მა ...]ალი უბედურება არ დაატეხონ ... მსოფლიოს.

[ჩვ]ენი მთავრობა გონივრულ წი[ნად]ადებებს სთავაზობს ომის გამ[ჩა]ღლებს, უპირველესად — ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას. გამალებული შეიარაღება უმძიმეს ეკონომიკურ ტვირთად აწევება მშრომელ ადამიანებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ხაზგასმით არის ნათქვამი: ნუ დავუშვებთ ატომურ შეიარაღებას, აღვკვეთოთ ომისთვის მზადების დამღუპველი ტენდენციები. ჩვენი საგარეო პოლიტიკა კიდევ ერთხელ აძლევს საშუალებას მილიტარისტებს, ჩაუფიქრდნენ მსოფლიოში შექმნილ საერთაშორისო ვითარებას, საერთო ძალებით ავიცილოთ თავიდან საშინელი ომის საფრთხე.

**ნესტორ ჩხატარაშვილი,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში.**

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# თამამი ექსპერიმენტი

**მინსკი.** მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა სასპარტაკიადო ტურნირის დასაწყისი მოულოდნელობებით აღსავსე გამოდგა. საგაზაფხულო ჩემპიონატის შემდეგ (იგი აპრილში უკრაინის დედაქალაქში ჩატარდა) მკვეთრად გამოისახა ლიდერთა ჯგუფი, რომელსაც, ლოგიკის თანახმად, სასპარტაკიადო შეჯიბრებებშიც უნდა გამოეჩინა თავი. მაგრამ ჯგუფურ ვარჯიშებში ასპარეზობამ ეს პროგნოზები თავდაყირა დააყენა.

ყველაზე მოულოდნელი, ცხადია, უკრაინის გუნდის გამოსვლა იყო ჯგუფურ ვარჯიშებში. საგაზაფხულო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა იმდენად დაბალი შეფასება მიიღო ტექნიკაში (მხოლოდ 8,45) ქულა, რომ საბოლოოჯამში 18,15 ქულა დააგროვა და მე-14 ადგილი დაიკავა. უკრაინელებმა მხოლოდ ტაჯიკეთისა და ყაზახეთის წარმომადგენლებს აჯობეს.

პირველი დღის შედეგებით უკმაყოფილონი იყვნენ ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ლიტვისა და მოსკოვის ტანმოვარჯიშეებიც. ისინი აშკარად უკეთეს შედეგს ვარაუდობდნენ.

საგაზაფხულო ჩემპიონატში საქართველოს გუნდი ჯგუფურ ვარჯიშებში მეოთხე ადგილზე იყო. ამჯერად, გუნდის მწვრთნელმა ნელი სალაძემ ძირფესვიანად შეცვალა ვარჯიშები და შედარებით მოკლე დროში საკმაოდ პოეტური ტანვარჯიშული მინიატურა შექმნა, ამ გაბედულმა ექსპერიმენტმა გაამართლა: საქართველოს წარმომადგენლებმა რუსეთის ფედერაციისა და ბელორუსიის გუნდების შემდეგ მესამე შედეგი აჩვენეს.

გუშინ დამთავრდა ჯგუფური ვარჯიშები. ჯერჯერობით გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: რუსეთის ფედერაცია —19,65 ქულა, ბელორუსია — 19,55, საქართველო — 19,3, უზბეკეთი — 19,05, როგორც ხედავთ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები უახლოეს მდევარს 2,95 ქულით უსწრებენ.

დაიწყო ასპარეზობა ცალკეულ სახეობებშიც. საქართველოს სპორტსმენები ჯერჯერობით VII ადგილზე არიან (აქ, ცხადია, შეტანილი არ არის ჯგუფური ვარჯიშების შედეგები).

# დღეს ფინალია

**ვენა.** დღეს ავსტრიის დედაქალაქში იუნიორ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართება. საპატიო პრიზისათვის ბრძოლის უფლება, როგორც მოსალოდნელი იყო, კონტინენტის იუნიორთა უძლიერესმა გუნდებმა — საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის კოლექტივებმა მოიპოვეს.

მანამდე კი, ჩვენს ნაკრებს ერთობ მძიმე და პრინციპული ბრძოლა ჰქონდა იტალიის გუნდთან, რომელიც, თავის მხრივ, ფინალში თამაშის კანონიერ პრეტენზიას აცხადებდა. პირველი ნახევარი საბჭოთა კალათბურთელებმა წააგეს 7 ქულით — 33:40. შესვენების შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. დაახლოებით 30-ე წუთიდან ინიციატივას ჩვენი კალათბურთელები დაეუფლნენ. მათ ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შეხვედრის მიწურულში კი დაწინაურდნენ კიდეც. შეხვედრის საბოლოო შედეგია 82:80 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

მეორე ნახევარფინალში იუგოსლავიელებმა შედარებით ადვილად სძლიეს გფრ-ის გუნდს — 91:79, თუმცა პირველი ნახევარი მხოლოდ ერთი ქულით მოიგეს — 46:45.

# კიდევ ორი რეკორდი

**მადრიდი.** გუშინწინ მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე კიდევ ორი რეკორდი გაუმჯობესდა. 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ქალთა შორის პირველი ადგილი და ოქროს მედალი სილივია გერასმა (გდრ) მოიპოვა. მისი შედეგი 1.08,11 ახალი მსოფლიო რეკორდია.

გაუმჯობესდა ევროპის რეკორდიც: 200 მეტრზე ბრასის სტილით ასპარეზობაში ვაჟთა შორის უნგრელმა იოჟეფ საბომ 2.14,27 აჩვენა.

სხვა შედეგებიდან შეიძლება გამოვყოთ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში რაინერ ჰენკელის (გფრ) გამარჯვება — 3.50,05. ვლადიმერ სალნიკოვი (სსრ კავშირი) ამჯერად მეხუთე იყო — 3.52,07. 100 მეტრზე ქალთა ბატერფლაის სტილით ცურვა კორნელია გლესლერმა მოიგო — 59,51.

თავისუფალი სტილით ესტაფეტაში 4X100 მეტრზე უძლიერესი აშშ-ს გუნდი იყო — 3.19,89. ჩვენი მოცურავეები (გენადი პრიგოდა, ნიკოლოზ ევსეევი, სერგეი სმირიაგინი და ალექსანდრე მარკოვსკი) მეორე ადგილზე გავიდნენ — 3.21,14.

მედლების კომპლექტი გათამაშდა კოშკიდან ხტომაშიც (ქალთა შორის). მსოფლიო ჩემპიონის სახელი ჩინელმა ჩენ ლინმა მოიპოვა — 449,67 ქულა. საბჭოთა სპორტსმენებმა ალლა ლობანკინამ (408,45) და ანჟელა სტასიულევიჩმა (401,13) შესაბამისად მეოთხე და მეხუთე ადგილები დაიკავეს.

საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრები ნახევარფინალში იუგოსლავიის გუნდთან დამარცხდა — 6:8 (3:2, 0:2, 2:0, 1:4). ახლა იგი მესამე ადგილისათვის აშშ-ს გუნდს შეხვდება. ფინალში კი იუგოსლაველთა მეტოქე იტალიის ნაკრები იქნება.

## ელვა-ინფორმაცია

# [ს]ამივე სახეობაში — [უ]ძლიერესი

კრასნოიარსკი (დეპეშით, ჩვენი კორ.). აქ ჩატარდა პროფკავშირთა [ერთ]იანი მოყვარულთა სპორტსაზოგადოებების ახალგაზრდული საკავშირო [პი]რველობა მეკლდეურობაში. წარმატებით იასპარეზა ჩვენი რესპუბლი[კი]ს ნაკრების წევრმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენ[ტ]მა ეკატერინე ჰკადუამ. 18 წლის სპორტსმენმა სამივე სახეობაში გაი[მა]რჯვა და შეჯიბრების აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ჰკა[დუ]ას ბადალი არ ჰყავდა ვერტიკალურ კედელზე ინდივიდუალურ ცოც[ვა]ში, წყვილთა რბენაში და ეგრეთ წოდებულ „დონბაის წყვილებით“ [ას]პარეზობაში, სადაც იგი გრაკოვასთან ერთად გამოდიოდა.

[ე]კატერინე უკვე მეხუთე წელია მეკლდეურობაში ვარჯიშობს და ამ [ხ]ნის მანძილზე რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, რაც, ცხა[დი]ა, მისი მწვრთნელის ლადო გურჩიანის დამსახურებაც არის.

სურათზე: ეკატერინე ჰკადუა.



# გზა მოვუჭრათ უშრომელ შემოსავალს

**უშრომელი** შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისა და აღმზრდელობითი მუშაობის ფონზე მიმდინარეობს. საზოგადოებრიობა საკადრისს უზღავს ცერძომესაკუთრული ტენდენციების მიმდევრებს, მექრთამეებს, მუქთახორებს, გამომძალველებსა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების ყველა ჯურის დამრღვევს.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში სახელმწიფოებრივი წესრიგისა და დისციპლინის კანონიერების დაცვა-განმტკიცებისათვის სერიოზული ღონისძიებები ტარდება.

ამას წინათ რესპუბლიკის სპორტსახკომში გამართულ კოლეგიის სხდომაზე მოიყვანეს ფაქტები, როცა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, წაყრუებასა და უპასუხისმგებლობას მოჰყვა უხეში დარღვევები — სპორტული ღონისძიებების გაყალბება, სატრანსპორტო საშუალებების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაუფასურება, კვლავ შეინიშნება ნეგატიური მოვლენები შეკრებების დროს და ა. შ. არ აღკვეთილა უშრომელი შემოსავლის ხელშემწყობი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მატერიალურ პასუხისმგებელ პირებად შეუფერებელი მუშაკების დანიშვნა, ფორმალიზმი სარევიზიო სამსახურში, უწესრიგობა და წაყრუება მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვაში, უწყებრივი კონტროლის მოდუნება და ა. შ.

კადრების შერჩევა-განაწილებაში უხეში დარღვევები გამოვლინდა საქსპორტმშენის № 5 კანტორაში. იქ მაღალკვალიფიციური ზეინკლის შტატში გაფორმებული იყო წარსულში ნასამართლევი ვინმე რ. მიხელაშვილი, რომელიც კანტორაში ფაქტობრივად მომმარაგებლის ფუნქციას ასრულებდა. სერიოზული დარღვევები გამოვლინდა სპორტსახკომის საწარმოო კომბინატში. ამ საწარმოს გამოშვებული პროდუქცია ვერ აკმაყოფილებდა სახსტანდარტების მოთხოვნებს, მოშლილი იყო საკადრო დისციპლინა.

ისეთმა გამოვლინებებმა, როგორიცაა რეპეტიტორობა, ანგარება სპორტულ სექციებში ჩარიცხვისას და პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენისას, მითვისება ტაბელით გათვალისწინებული სპორტული ფორმისა და ინვენტარის გაცემისას, ფეხბურთელთა რესპუბლიკურ პირველობაზე საეჭვო მითქმა-მოთქმა, ცალკეულ სპორტსმენთა დაუმსახურებელი მატერიალური წახალისება, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში დაშვებული უხეში დარღვევები და სხვა, დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს სპორტულ მოძრაობას.

არის შემთხვევები, როცა დეფიციტური და ლიმიტირებული სპორტული ფორმა-ინვენტარი იყიდება გარეშე პირებზე. სპორტულ კოლექტივებს ექცდლებიან ნაირნაირი „კონსულტანტები", შეკრებებზე ხელოვნურად ზრდიან დღეებისა და სპორტსმენთა რაოდენობას, შეკრება-შეჯიბრებების ხარჯთაღრიცხვა დგება ზერელედ, რაც ფინანსურ დარღვევათა შესაძლებლობებს ქმნის. საერთოდ ნაკლებია სპორტისთვის გაწეული ხარჯების უკუგება და უმნიშვნ... საზოგადოებრიობა ... ნად მოითხოვს, რომ სრული წ... რიგი დამყარდეს სპორტულ-ს... ხაობით ღონისძიებებზე ბილეთ... გაყიდვის ორგანიზაციაში. საკო... როლო ორგანოებმა არაერთგ... გამოავლინეს საფეხბურთო ლ... რიის ბილეთების სპეკულაც... ფასებში გაყიდვის ფაქტები, ... გორც თბილისში, ისე ქუთაის...

კოლეგიამ მიიღო დადგენილ... რომელიც რესპუბლიკის ფიზკუ... ტურულ-სპორტულ ორგანიზა... ებში სოციალისტური კანონიე... ბის შემდგომი განმტკიცებისა, უშრომელი შემოსავლის წინაა... დეგ ბრძოლის ეფექტური ღონ... ძიებების გატარებას . ითვალის... ნებს.

## განვიხილავთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის პროექტს

**ამას** წინათ პრესაში გამოქვეყნდა ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი — ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა პროექტი. მის განხილვაში სპეციალისტები და მომავალი თაობის ბედზე დაფიქრებული ადამიანები მონაწილეობენ. მეც მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება.

პირველ რიგში საჭიროა ამაღლდეს მომავალ სპეციალისტთა თეორიული ცოდნის დონე, მათ საფუძვლიანად აითვისონ მაპროფილებელი და სხვა სპეციალური საგნების მსოფლმხედველობითი-მეთოდოლოგიური ნაწილი. ამისათვის საჭიროა ჩვენს სასწავლო პროგრამებში, განსაკუთრებით სახელმძღვანელოებში, ყველა საკითხი კარგად გაშუქდეს აღმზრდელობითი მიზნის საგანგებო მითითებით. მეთოდური საკითხების გაშუქებისას სახელმძღვანელოთა ავტორები არ უნდა შემოიფარგლონ ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებებით, მათ უნდა მიმოიხილონ სხვა ავტორთა შეხედულებებიც.

მომავალმა სპეციალისტმა უნდა იცოდეს სწავლებისა და აღზრდა-განვითარების დარგის ყველა ძირითადი კონცეფცია. ერთი და იმავე საკითხისადმი სხვადასხვა კუთხით მიდგომა მას გაუღრმავებს პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციის სწავლების საშუალებების, მეთოდებისა და ფორმების გამოყენების ცოდნას, სტუდენტმა თვითონ უნდა გაიაზროს კონკრეტულ შემთხვევაში რომელი უფრო მისაღებია. სახელმძღვანელოები და ლექციები სტუდენტს უნდა უადვილებდეს საკითხის მეთოდურად სწორად გადაწყვეტას. ამიტომ ლექციები პრობლემური ხასიათისა უნდა იყოს.

გარდა იმისა, რომ უნდა ამაღლდეს სტუდენტთა თეორიული მომზადების დონე, გადასაწყვეტია რამდენიმე სხვა საკითხიც. მაგალითად, ვის ამზადებს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი? სკოლის, უმაღლესი ან საშუალო პროფესიული სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს და სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელებს.

ამ ბოლო წლებში შემოიღეს კიდევ ერთი სპეცალობა: მასობრივ-ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებ ე ლ ი მუშაობისა და ტურიზმის პედაგოგ-ორგანიზატორი. ამ საკითხის განხილვის დროს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საბჭოზე გამოითქვა აზრი, რომ ასეთი ღონისძიება აქუცმაცებს სპეციალობას. საწარმოო ტანვარჯიშის ან ტურიზმის მეთოდისტის მოსამზადებლად არ არის საჭირო ინსტიტუტის დამთავრება. ამისათვის საკმარისია საშუალო ფიზკულტურული განათლება, მოკლევადიანი კურსები ან სპეციალური სემინარი, როგორც ეს ადრე იყო. უმაღლესი სასწავლებელი მოწოდებულია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება დამოუკიდებლად აწარმოოს დიდი მასშტაბის საქმიანობა. ამიტომ ინსტიტუტში უნდა დარჩეს ორი ფაკულტეტი — პედაგოგთა და მწვრთნელთა. რაც შეეხება ფიზიკური კულტურისა და სპორტის მართვასა და ორგანიზაციას, ამაში პედაგოგებიცა და მწვრთნელებიც კარგად უნდა ერკვეოდნენ. ამასთან, ფიზიკური კულტურის თეორიისა და მეთოდიკის კათედრა თავისი საგნის შესაბამის განყოფებში (სასკოლო თუ უმაღლესი სასწავლებლის მეთოდიკა) ერთგვარად აშუქებს კონკრეტულ საორგანიზაციო საკითხებსაც. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ვერევით ფიზიკური კულტურის მართვისა და ორგანიზაციის პრინციპულ საკითხებში.

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტებს ხშირად ბრალს დებენ იმაში, რომ იგი ვერ ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელსა და, მით უმეტეს, მწვრთნელს.

რა არის ამის მიზეზი?

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სტუდენტთა უმრავლესობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპორტსმენია. ისინი ხშირად იძულებული არიან გააცდინონ ლექცია-სემინარების საკმაოდ დიდი რაოდენობა წამყვან საგნებში (საზოგადოებრივი მეცნიერებანი, ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდიკა, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ფიზიკური კულტურის მართვა და ორგანიზაცია და სხვ.). თუ ამ საგნებს სტუდენტი სისტემატურად არ ისმენს, სახელმძღვანელოზე და სხვა მეთოდურ მასალაზე დამოუკიდებელი მუშაობა გაუძნელდება და აქტიურ მონაწილეობას ვერ მიიღებს სემინარებში, მაშასადამე ვერ დაეუფლება ისეთ ფუნდამენტურ საგნებს, როგორიცაა ფიზიკური კულტურის თეორია და მასში შემავალი ფიზიკური აღზრდის მეთოდიკა, რომლის ღრმად ათვისებით სტუდენტი სწრაფად გაერკვევა ტანვარჯიშის, მოძრავი და სპორტული თამაშების, სპორტული ორთაბრძოლების, მძლეოსნობის კონკრეტულ მეთოდიკაში. არც ისაა დასამალი, რომ ხშირად მასწავლებელი იძულებულია ასეთ სტუდენტს დაუმსახურებლად დაუწეროს დამაკმაყოფილებელი ან კარგი ნიშანი. არის მოსაზრება, რომ ასეთ სტუდენტებს სწავლების ვადა გაუხანგრძლივდეთ.

სტუდენტის ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმი დაუშვებელია, რადგან იგი ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან უარყოფითი შედეგებით. მასწავლებელი არ არის მხოლოდ ინფორმატორი. მან ისე უნდა გადასცეს მასალა, რომ სტუდენტი თავიდანვე დაინტერესდეს საგნით, ეცადოს კარგად გაერკვეს ყველა ნიუანსში და მექანიკურად არ დაიმახსოვროს მოსმენილი. როგორც პროექტიდან ჩანს, ასეთი მდგომარეობა არც სხვა ინსტიტუტებისთვისაა უცხო. ამიტომ, ეს საკითხები აუცილებლად ცენტრალიზებული წესით უნდა გადაწყდეს.

ინსტიტუტში უნდა ჩაირიცხონ თეორიულად სათანადოდ მომზადებული ახალგაზრდები, რომლებსაც შესწევთ უმაღლესი სასწავლებლისათვის დამახასიათებელი გარკვეული სიძნელის—ლექციის მოსმენისა და მოსმენილის ათვისების უნარი, შეუძლია გახდეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართო მასშტაბის სპეციალისტი. არავისთვის საიდუმლო არ არის ის, რომ ბევრი სპორტსმენი სკოლას ისე ამთავრებს, სრულყოფილად ვერ ეუფლება ცოდნის საფუძვლებს, რასაც პროგრამა ითვალისწინებს. ზოგჯერ უმაღლეს სასწავლებელშიც თავს იჩენს ფორმალიზმი. ეს ფორმალიზმი მას თან სდევს ბოლომდე. ფაქტია, რომ აუგად იხსენიებენ იმ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც პრინციპულობას იჩენენ და „არ ესმით", რომ სპორტსმენი „კლიმატს ქმნის" საზოგადოებისთვის.

მასწავლებლის საქმიანობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ფასდებოდეს მის მიერ დასმული ნიშნების მიხედვით. თორემ რა გამოდის, როდესაც სუსტ სტუდენტს არადამაკმაყოფილებელ ნიშანს უწერ, გაფასებენ როგორც დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებელს და პირიქით. ერთ და იგივე ლექციაზე, ერთსა და იმავე ჯგუფში მასწავლებლის ასეთი შეფასება მხოლოდ გაუგებრობას იწვევს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს წამყვან საგნებს. მხედველობაში მაქვს ფიზიკური კულტურის თეორიისა და მეთოდიკის კურსი. ეს ის საგანია, რომლის დებულებებიდან გამომდინარეობს პედაგოგიკური ცოდნა. მაგრამ სამწუხაროა, რომ პროექტის განხილვის დროს ზოგიერთი სპეციალისტი გამოთქვამს პრინციპულად არასწორ აზრს, თითქოს ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდიკა (არ დაგვავიწყდეს, იგი წამყვანი საგანია ფიზიკური კულტურის ინსტიტუტებში) მოითხოვს არა მარტო დაზუსტებას, ამაში ჩვენ მათ ვეთანხმებით, არამედ საფუძვლიან გადახედვასაც. ვერ დავეთანხმებით აგრეთვე იმაშიც, რომ თითქოს ჟურნალ „ტეორია ი პრაკტიკა ფიზიჩესკოი კულტური" ფურცლებზე, ისევე როგორც ამას წინათ მოსკოვში ჩატარებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფილოსოფიური და სოციოლოგიური პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციაზე, და ამავე საკითხებზე მრგვალ მაგიდასთან წამოყენებულ გაშლილ დისკუსიებში სწორედ ასე იყო დასმული საკითხი. ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, რომ ფიზიკური კულტურის თეორია მოითხოვს დაზუსტებასა და გაფართოებას და არა მის შეცვლას, დავუშვათ, „სპორტის პედაგოგიკით". სპორტის პედაგოგიკა ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლის ისეთ მნიშვნელოვან საგანს, როგორიცაა „ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდიკა". სპორტის პედაგოგიკა ფიზიკური კულტურის თეორიისა და მეთოდიკის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სპორტის ის სახეობანი გვექნება მხედველობაში, რომელთაც საფუძვლად ადამიანის აქტიური მოძრაობითი მოქმედებანი უდევთ. ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ფიზიკური კულტურა, როგორც საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოვლენა და სპორტი, როგორც ასევე საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოვლენა. შეცდომაა გაზეთში გამოთქმული ეს აზრი: სპორტული პედაგოგიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის არა მარტო ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების აღზრდის საკითხებს, არამედ სხვადასხვა ასაკის ხალხთა ფიზიკური აღზრდის თეორიულ პრობლემებსაც. ყველა ამ საკითხს იგი შეისწავლის სპორტთან დაკავშირებით და არა საგანგებოდ, როგორც ამას ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდიკა. რაც შეეხება პროფესორ ა. ა. ტერ-ოვანესიანისა და პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ა. ტერ-ოვანესიანის მონოგრაფიას „სპორტის პედაგოგიკა" (კიევი, 1986), რომელსაც გაზეთში გამოქვეყნებული წერილის ავტორი ეყრდნობა, აშუქებს არა ფიზიკური კულტურის საკითხებს, არამედ საგანგებოდ ეხება „მასობრივს" და „დიდი მიღწევების" სპორტის საკითხებს. ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ დღეს ფიზიკური კულტურის თეორიისა და მეთოდიკის უარყოფა უაზრობაა, პირიქით, ეს საგანი მეტ დახვეწასა და გამდიდრებას მოითხოვს. ჩვენში არსებობს ფიზიკური კულტურის, ისევე, როგორც სპორტის, უდიდესი პრაქტიკა და მას გააჩნია თავისი თეორია. უკვე კარგა ხანია, რაც დამუშავდა „სპორტის თეორია", რომელსაც განეკუთვნება სპორტის პედაგოგიკაც და ასეც უნდა დარჩეს ინსტიტუტების სასწავლო გეგმებში.

**ვასილ ელაშვილი,**
პროფესორი.

# კურსი—სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „დაპირებას ... ბოლო არ უჩან...

16 ივლისს გაზეთ „ლელო... გამოქვეყნდა წერილი სათაური... „დაპირებებს კი ბოლო არ უჩან... რომელშიც ლაპარაკი იყო მიმდ... ნარე საფეხბურთო ჩემპიონატ... ქუთაისის „ტორპედოს" ოსტ... ფეხბურთელთა გუნდის სუსტ ... მოსვლასა და, საერთოდ, გუ... ში შექმნილ მდგომარეობაზე.

„22 ივლისს ჩატარდა „ტო... პედოს" ოსტატ ფეხბურთე... გუნდის საერთო კრება, სადაც ... ნხილული იქნა გუნდში არსებ... ლი მდგომარეობა და წერილ... მოყვანილი ფაქტები.

კრებას ესწრებოდნენ ქალა... ხელმძღვანელი ორგანიზაციებ... საავტომობილო ქარხნისა და სპ... რტკომიტეტის ხელმძღვანელი მ... შაკები.

ალინიშნა: წერილში მოყვანი... ფაქტები, რომ რიგი ფეხბურთ... ლებისა უპასუხისმგებლოდ ე... დებოდა ვარჯიშებსა და ოფიც... ალურ მატჩებს, სინამდვილეს შ... ეფერება, რამაც განაპირობა ... რითადად გუნდის ცუდი სატურ... რო მდგომარეობა.

ფეხბურთელთა ბაზაზე მიმდ... ნარეობს საამშენებლო სამუშ... ები, უკვე დამთავრებულია სა... ხოვრებელი და საყოფაცხოვრე... კორპუსი. რაც შეეხება სარეაბ... ლიტაციო ცენტრს, მისი მშენე... ლობისათვის შედგენილია პრო... ქტი, ხარჯთაღრიცხვა და მშენე... ლობა დაიწყება 1987 წელს.

გუნდის წევრებმა და ხელმძღ... ნელებმა გაზეთის კორესპონდენ... თან საუბარში შექმნეს არასწ... რი აზრი, თითქოს გუნდის წე... რებს უგვიანდებათ ხელფასის ... ლება. ამით ისინი შეეცადნენ ... ემართლებინათ გუნდის არასტაბ... ლური თამაში და მინდობილი ... ქმისადმი უპასუხისმგებლო და... კიდებულება.

**დავით ფრუ...**
ქუთაისის ფიზიკური კულტ... რისა და სპორტის საქალა... კომიტეტის თავმჯდომარე.

## ჩერნობილელ... დასახმარებლ...

**ჩერნობილის** ატომურ ელ... ტროსადგურში მომხდარი კატა... ტროფის ამბავი საბჭოთა ადამი... ნებმა გულთან ახლოს მიიტან... ჩერნობილელებს ბევრმა გაუწო... დახმარების ხელი.

სპორტსაზოგადოება „დინამო... აჭარის საოლქო საბჭოსა და ბ... თუმის „დინამოს" სტადიონის თ... ნამშრომლებმა ხელფასიდან შეა... როვეს 620 მანეთი და დაზარალ... ბულებს გაუგზავნეს.

* * *

**ამას** წინათ ბათუმში ორთვ... სპორტულ საბანაკო შეკრებ... იმყოფებოდნენ კიევის „დინამო... სპეციალიზებული საფეხბურთ... სკოლის ალსაზრდელები. „დინ... მოს" სტადიონზე მათ ამხანაგუ... მატჩი გამართეს ბათუმელ თან... კლუბელებთან და მატჩის შემოს... ვალი ჩერნობილის დახმარების ფ... ნდში გადარიცხეს.

**ოთარ მურვანი...**
ბათუმის „დინამოს" სტადიონ... დირექტორი.

# პირველად სპორტის სასახლეში

**სპორტის** სასახლეში ამას წინათ დამთავრდა საინტერესო ღონისძიება — თბილისის პირველობა ეზოს ფეხბურთის გუნდებს შორის, რომელიც აქ პირველად ჩატარდა.

მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა (ასამდე ფეხბურთელი). ასპარეზობამ ორ თვემდე გასტანა — თამაშები ძირითადად დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში ტარდებოდა.

პირველი ადგილი და სპორტის სასახლის პრიზი მოიპოვა პავლოვის ქუჩის გუნდმა.

**ალიკო კაპანაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# ორი ნაკრების მატჩი

0:0 — ასე ითამაშეს 20 აგვისტოს გეტებორგში შვეციისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა.

ეს იყო ამ მეტოქეთა მე-15 შეხვედრა, მანამდე 6 მატჩი მოგებული ჰქონდათ საბჭოთა ფეხბურთელებს, 3 — შვედებს, 5 შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

საბჭოთა ნაკრებმა პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი გამართა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, სულ მალე კი ჩვენი ფეხბურთელები ჩაებმებიან ევროპის ჩემპიონატის III საკლასიფიკაციო ჯგუფის შესარჩევ მატჩებში ისლანდიის, საფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ნორვეგიის გუნდებთან ერთად. ამიტომ 20 აგვისტოს მატჩი თავისებურ შორეულ რეპეტიციას წარმოადგენდა. უნდა ითქვას, ეს რეპეტიცია საკმაოდ უფერული გამოდგა, თამაში არ გამოირჩეოდა სანახაობრივი თვალსაზრისით, საბჭოთა გუნდის ნახევარმცველები და თავდამსხმელები ხშირად უშვებდნენ შეცდომებს, მთელი თამაშის განმავლობაში არ იგრძნობოდა, რომ ეს იყო ძველი მეტოქეების პრინციპული შეხვედრა, მინდორზე რაღაც მეტისმეტი „საწვრთნელი“ განწყობილება სუფევდა. მთელი თამაშის მანძილზე სულ ორიოდე სახიფათო მომენტი თუ შეიქმნა და ერთ-ერთი მათგანი, 56-ე წუთზე გოლით შეეძლო დაემთავრებინა შვედების თავდამსხმელს პალმერს, მაგრამ მან ვერ გამოიყენა მეკარე ჩანოვის შეცდომა და კარს ააცილა გადამწყვეტი დარტყმა.

საბჭოთა ნაკრების ფეხბურთელები ორივე ტაიმის მანძილზე მოქმედებდნენ ნელ ტემპში, არ იგრძნობოდა აგრესია, სწრაფვა გამარჯვებისადმი და, ეტყობა, მასპინძლებსაც ეს უნდოდათ. შედარებით კარგად ითამაშეს ჩვენმა მცველებმა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩივაძე.

საბჭოთა ნაკრებმა ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჩანოვი, ლარიონოვი, ჩივაძე, კუზნეცოვი, დემიანენკო, იარემჩუკი (იაკოვენკო), ხიდიატულინი, რაცი (ბლოხინი), ალეინიკოვი (როდიონოვი), ზავაროვი, ბელანოვი.

## უეფა-ს თასზე — 4 გუნდი

**ჟენევა, 21 აგვისტო (საკდესი).** ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის დადგენილებით 1987-1988 წლებში ევროპის საკლუბო გათამაშებაში უეფა-ს თასზე სსრ კავშირი მონაწილეობას მიიღებს მაქსიმალური, 4 გუნდის რაოდენობით.

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა ანალიზი გაუკეთა ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის შედეგებს და კოეფიციენტთა ცხრილით 4-4 გუნდის გამოყვანის უფლება მიაკუთვნა სსრ კავშირს, იტალიას და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

ამასთან დაკავშირებით, უეფა-ს პრეზიდენტმა ჟაკ ჟორჟმა განაცხადა, რომ მოხარულია ეს წარმატება მიულოცოს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას. მან თქვა, რომ საბჭოთა საკლუბო გუნდებმა ბოლო ხანებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ევროპის საკლუბო ასპარეზზე და სავსებით დაიმსახურეს უფლება მაქსიმალური რაოდენობით გამოვიდნენ უეფა-ს თასზე.

## ოლიმპიელთა წარმატება

**შვეციის** ქალაქებში ტურნე დაამთავრა საბჭოთა ოლიმპიელთა ნაკრებმა, რომელმაც ბოლო შეხვედრა ქ. ვესტეროსში გამართა ამ ქვეყნის ოლიმპიურ გუნდთან. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0, ბურთები გაიტანეს ა. სავიჩევმა და მიხაილიჩენკომ.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობა: ხარინი, ვორობიოვი, პანჩიკი, კუდინოვი, იანონისი, სკლიაროვი (კუზნეცოვი), იაშჩენკო, ი. სავიჩევი, დობროვოლსკი, მიხაილიჩენკო (ლიუტი), მოროზოვი (ტარანი).

საბჭოთა ოლიმპიელთა ნაკრებმა შვეციაში 4 მატჩი ჩაატარა და ოთხივე მოიგო.

## საქართველოს პირველობა

გთავაზობთ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXIII ტურის შეხვედრათა ტექნიკურ მონაცემებს (I ლიგა).

### აღმოსავლეთი ჯგუფი

**„იმედი“ (თბილისი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 0:2. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი).** გოლები: გოგიჩაიშვილი, ქობელაშვილი („შევარდენი“-სპი).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს „იმედის“ ფეხბურთელი დ. რეხვიაშვილი.

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:2. მსაჯი. რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: ჰეჰელაშვილი-2, ახალკაცი-2 („ქართლი“), კიკნაძე, გამყრელიძე („მეტალურგი“).

მსაჯთან სისტემატური კამათისთვის გააფრთხილეს ზესტაფონელი ფეხბურთელი ზ. გურიელიძე.

**„არმაზი“ (მცხეთა) — „კახეთი“ (თელავი) 1:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).** გოლი: პუკაკიშვილი („არმაზი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი მ. [illegible]ცხულავა (ლანჩხუთი).** გოლი: ბ. ბეჯიშვილი („სპარტაკი“).

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: ჯაფარიძე, ჯაგოვი, დოლიძე („მადნეული“).

თბილისის არმიელთა გუნდს დამარცხება ჩაეთვალა ხაშურის „ივერიასთან“.

აღმოსავლეთ ჯგუფში გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა: „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 6:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იმედი“ (თბილისი) 0:1.

### დასავლეთი ჯგუფი

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „წალხინო“ (გეგეჭკორი) 3:1. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).** გოლები: ქავთარაძე-2, ათუაშვილი („სამეგრელო“), ჰუბაბრია („სალხინო“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს გეგეჭკორელი ფეხბურთელები ზ. დანელია და დ. გოგიძე, აგრეთვე, ჩხოროწყუელი ბენდელიანი.

აღსანიშნავია, რომ „სალხინოს“ მოთამაშე ზ. დანელია უწინაც შემჩნეული იყო წესრიგის უხეშ დარღვევაში. ეტყობა, ჭკუის სწავლა და კეთილი შეგონებანი ამ ფეხბურთელზე არ მოქმედებს, ამიტომაც მის მიმართ საჭიროა გაც ლებით უფრო მკაცრი სანქციების გამოტანა.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „მადრევანი“ (წყალტუბო) 5:0. მსაჯი ვ. ტონოკანიანი (ახალქალაქი).** გოლები: აბრალავა-2, შეროზია, კვირტია, კვარაცხელია („სქური“).

**„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სულორი“ (ვანი) 2:1. მსაჯი ზ. ხანიაშვილი (თბილისი).** გოლები: ოსეფაშვილი, მახარაძე („ბახმარო“), ჯ. ვერულაშვილი („სულორი“).

ეს თამაში წესრიგის მნიშვნელოვანი დარღვევებით აღინიშნა. გააფრთხილეს ჩოხატაურელი ფეხბურთელები გ. გიორგაძე და ა. მეჩეხია, აგრეთვე, ვანელები გ. შარაშენიძე და თ. ნეფარიძე.

ა. მეჩეხიამ მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება არ იკმარა და ერთ-ერთ მეტოქე ფეხბურთელს ფეხი განზრახ გაარტყა, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს.

ჩოხატაურის „ბახმაროსა“ და ვანის „სულორის“ ხელმძღვანელებმა სერიოზულად უნდა იმსჯელონ ამ დარღვევათა შესახებ, მკაცრი სასჯელები გამოუტანონ უდისციპლინო ფეხბურთელებს და, საერთოდ, იზრუნონ თავიანთ გუნდებში წესრიგის დასამყარებლად.

**„დინამო“ (გაგრა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:0. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).** გოლები: მოსიავა, კვარაცხელია-2 („დინამო“).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 4:0. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).** გოლები: ტიბუა-2, ხვიტია, თუთბერიძე („დინამო“).

ცხაკაიელი ფეხბურთელი ი. გერგელი დემონსტრაციულად არ დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას, რისთვისაც იგი გააფრთხილეს.

**„იმერეთი“ (ქუთაისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: ვართანოვი, კაკუბავა („ამირანი“).

### გათამაშების ცხრილები

#### აღმოსავლეთი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შევარ.“-სპი | 21 | 15 | 3 | 3 | 53-22 | 33 |
| „მეტალურ.“ | 22 | 14 | 3 | 5 | 36-24 | 31 |
| „მადნეული“ | 23 | 13 | 2 | 8 | 50-32 | 28 |
| ფიზკ. ინს. | 22 | 9 | 4 | 9 | 32-29 | 22 |
| „არმაზი“ | 21 | 8 | 6 | 7 | 34-30 | 22 |
| „ივერია“ | 21 | 9 | 3 | 9 | 19-23 | 21 |
| „კახეთი“ | 21 | 9 | 3 | 9 | 27-32 | 21 |
| „სპარტაკი“ | 21 | 9 | 2 | 10 | 22-30 | 20 |
| „ქართლი“ | 20 | 8 | 4 | 8 | 14-21 | 20 |
| „დურუჯი“ | 22 | 8 | 4 | 10 | 15-29 | 20 |
| „იმედი“ | 21 | 6 | 8 | 7 | 16-25 | 20 |
| ასკ თბ. | 19 | 3 | 2 | 14 | 10-32 | 8 |

#### დასავლეთი ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრ.“ | 21 | 12 | 3 | 6 | 31-16 | 27 |
| „დინამო“ ზ. | 22 | 12 | 1 | 9 | 53-31 | 25 |
| „დინამო“ გ. | 21 | 10 | 4 | 7 | 37-30 | 24 |
| „სალხინო“ | 22 | 10 | 4 | 8 | 34-30 | 24 |
| „სულორი“ | 21 | 10 | 3 | 8 | 33-25 | 23 |
| „ეგრისი“ | 21 | 9 | 5 | 7 | 29-36 | 23 |
| „მადრევ.“ | 21 | 11 | 0 | 10 | 39-37 | 22 |
| „სქური“ | 21 | 10 | 2 | 9 | 32-26 | 22 |
| საპოვნელა“ | 21 | 10 | 2 | 9 | 33-32 | 22 |
| „ამირანი“ | 21 | 9 | 3 | 9 | 24-32 | 21 |
| „მერცხალი“ | 21 | 9 | 2 | 10 | 28-22 | 20 |
| „იმერეთი“ | 22 | 4 | 4 | 14 | 16-34 | 12 |
| „ბახმარო“ | 21 | 5 | 1 | 15 | 16-44 | 11 |

## I ლიგა

21 აგვისტოს — მეტა. I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXX ტურის მატჩები.

ლანჩხუთის „გურიამ“ თავის მინდორზე მიიღო ხაბაროვსკის არმიელთა გუნდი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „გურიამ“.

ბათუმის დინამოელები ტაშკენტში შეხვდნენ „ფახთაქორს“ და მარცხი განიცადეს — 0:2.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:3, „დაუგავა“ (რიგა) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:3, „პამირი“ (დუშანბე) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 4:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:2, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 3:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 3:1.

XXXI ტურში, 27 აგვისტოს, ბათუმის „დინამო“ თავის მინდორზე მიიღებს ლიგის ერთპიროვნულ ლიდერს — „დაუგავას“ (რიგა), ხოლო ლანჩხუთის „გურია“ ნიკოპოლში შეხვდება „კოლოსს“.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 28 | 18 | 6 | 4 | 62-29 | 42 |
| „პამირი“ | 29 | 14 | 9 | 6 | 47-26 | 37 |
| „გურია“ | 29 | 16 | 4 | 9 | 42-37 | 36 |
| ასკ „კარ.“ | 29 | 13 | 8 | 8 | 46-33 | 34 |
| „ლოკომ.“ | 29 | 13 | 8 | 8 | 41-31 | 34 |
| „შინიკი“ | 29 | 13 | 8 | 8 | 29-21 | 34 |
| „როტორი“ | 29 | 15 | 3 | 11 | 42-31 | 33 |
| ცსკა | 26 | 14 | 5 | 7 | 38-22 | 33 |
| „ფახთაქ.“ | 29 | 13 | 5 | 11 | 39-43 | 31 |
| „დინამო“ ბ. | 29 | 13 | 5 | 11 | 31-36 | 31 |
| „როსტს.“ | 28 | 11 | 9 | 8 | 46-40 | 31 |
| „კოლოსი“ | 27 | 11 | 8 | 8 | 29-29 | 30 |
| „ფაკელი“ | 29 | 11 | 7 | 11 | 32-30 | 29 |
| „სპარტაკი“ | 29 | 8 | 10 | 11 | 39-39 | 26 |
| „ყუბანი“ | 28 | 8 | 10 | 10 | 26-29 | 26 |
| „მეტალურ.“ | 27 | 10 | 5 | 12 | 35-33 | 25 |
| ასკ რ. | 28 | 9 | 7 | 12 | 30-33 | 25 |
| „კოტაიკი“ | 29 | 8 | 9 | 12 | 28-32 | 25 |
| „კუზბასი“ | 28 | 8 | 9 | 11 | 34-42 | 25 |
| „დინ.“ სტ. | 28 | 6 | 12 | 10 | 32-34 | 24 |
| „ისკრა“ | 29 | 7 | 7 | 15 | 19-41 | 21 |
| ასკ ხ. | 29 | 6 | 8 | 15 | 32-46 | 20 |
| „ატლანტ.“ | 28 | 5 | 6 | 17 | 22-45 | 16 |
| „ნისტრუ“ | 29 | 4 | 6 | 19 | 21-60 | 14 |

## საერთაშორისო შეხვედრები

**ნოტინგემი.** მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა მესამე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს დიდ ბრიტანეთში. მათ ანგარიშით 1:0 დაამარცხეს „ნოტინგემ ფორესტი“, ბურთი გაიტანა ნ. სავიჩევმა.

**ოსლო.** ნორვეგიელმა ფეხბურთელებმა საერთაშორისო მატჩში მიიღეს რუმინეთის ნაკრები. 35-ე წუთისთვის წინ იყვნენ რუმინელები — 2:0. პირველი ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა ნორვეგიელმა მცველმა ოსვოლდმა, მეორე გაიტანა ნადმა. შესვენების შემდეგ ნორვეგიელები მთლიანად ფლობდნენ ინიციატივას, ორი საპასუხო ბურთი გაიტანა ოკლანდმა — 2:2.

**ბარსელონა.** ესპანეთის ამ ქალაქში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 4 ძლიერი გუნდი მონაწილეობდა: ადგილობრივი „ბარსელონა“, ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“, ინგლისის „ტოტენჰემი“ და იტალიის „მილანი“.

პირველ ადგილზე გავიდა „ბარსელონა“, რომელმაც ფინალში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ეინდჰოვენი“ (ბურთი გაიტანა კარასკომ). მესამე ადგილი დაიკავა „ტოტენჰემმა“, რომელმაც მოუგო „მილანს“ — 2:1.

**ციურიხი.** მეტად საინტერესო „ოთხთა ტურნირი“ მოეწყო შვეიცარიის ამ ქალაქში. თამაშობდნენ ადგილობრივი „გრასჰოპერსი“, „რომა“ (იტალია), „ბაიერნი“ (გფრ) და „ფლუმინენსე“ (ბრაზილია).

„გრასჰოპერსმა“ ფინალში დაამარცხა „რომა“ 3:1, მესამე ადგილზე გავიდა „ბაიერნი“, რომელმაც მოუგო „ფლუმინენსეს“ — 1:0

**ლოზანა.** მოულოდნელი ანგარიშით დამთავრდა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი შვეიცარიისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებს შორის. შვეიცარიელებმა ევროპის ჩემპიონი დაამარცხეს ანგარიშით 2:0, ბურთები გაიტანეს ჰერმანმა და ზუტერმა.

# „მართვე“ — ჩვენი ოლიმპიური იმედი

**ბოლო** ხანებში, თითქოს შევეჩვიეთ „მართვეს“ ნორჩ კალათბურთელთა წარმატებებს. მართლაც, თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის სხვადასხვა ასაკის გუნდები (სკოლის დირექტორი ლევან ჩხიკვაძე) ზედიზედ იმარჯვებენ სხვადასხვა რანგის საკავშირო პირველობებსა თუ ტურნირებში.

და აი, რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მივიღეთ სტავროპოლიდან, სადაც დამთავრდა „ოლიმპიური იმედის“ ტრადიციული საკავშირო ფესტივალი მინი-კალათბურთში. შეჯიბრებაში, რომელშიც 1974-1975 წლებში დაბადებული კალათბურთელებით დაკომპლექტებული 18 გუნდი მონაწილეობდა, გაიმარჯვა თბილისის „მართვემ“ (მწვრთნელი — გივი ქილიტაური). სპორტის მოყვარულებს, შესაძლოა, ახსოვთ კიდეც, რომ შარშან ანალოგიური ფესტივალის კალათბურთელთა ტურნირი ამავე გუნდმა მოიგო, მაგრამ წლეულს ჩვენი ბიჭებისა და მათი მწვრთნელების სიხარული გაორკეცებული გახლდათ. საქმე ის არის, რომ ამჯერად „მართვემ“ მთელი ფესტივალის „ჩემპიონის“ სახელი მოიპოვა — ფესტივალის პროგრამაში ხომ კალათბურთის გარდა სხვა სახეობებიც შედის: რბენა 1500 და 60 მეტრზე, სიგრძეზე ხტომა, ბურთის ტყორცნა, ცურვა, კაპიტნებისა და მსაჯების კონკურსი — როგორც თეორიული, ისე, პრაქტიკული. მაგრამ ეს ასპარეზობა მხოლოდ სპორტით როდი შემოიფარგლება. იმისთვის, რომ საერთო ჩათვლაში გაიმარჯვო, ცეკვა და სიმღერაც უნდა შეგეძლოს — სპეციალური ჟიური საუკეთესო მოცეკვავეებსა და მომღერლებს ქულებს უწერს.

„მართვემ“ თავისი უპირველესი „მოვალეობა“, ისევე როგორც შარშან, პირნათლად შეასრულა: ქვეჯგუფში ზედიზედ დაამარცხა ყაზახეთის (92:25), აზერბაიჯანის (65:15), ლატვიისა (101:60) და ლენინგრადის (50:28) გუნდები, ნახევარფინალში აშკარა უპირატესობით აჯობა უკრაინელებს (77:33), ფინალში კი კიდევ უფრო დამაჯერებლად მოუგო არხანგელსკის ნაკრებს (88:34). სხვათა შორის, სწორედ არხანგელსკის გუნდი იყო ჩვენი ბიჭების მთავარი კონკურენტი საერთო გამარჯვებისთვის ბრძოლაში. თბილისელებისა და არხანგელსკელების „დავა“ გადაწყვიტა მსაჯთა კონკურსმა, რომელშიც თბილისელმა ალეკო ქილიტაურმა გაიმარჯვა. მან ექვს შეხვედრაში იმსაჯა და ხუთში უმაღლესი შეფასება მიიღო, ხოლო ერთში — „ხუთიანი“ მინუსით. როგორც ხედავთ, ალეკო ქილიტაურმა „მართვეს“ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და ამიტომ გადავწყვიტეთ, თვით კალათბურთელებთან და მათს დამრიგებლებთან ერთად სამახსოვრო სურათი მისთვისაც გადაგველო.



**სურათზე:** პირველ რიგში (მარცხნიდან) — ელდარ ლაზიშვილი, ვახილ გოგუა, იგორ მურაატოვი, ლევან დავითაია, ზურაბ ჩუბინიძე, ვახილ ოთიურიძე; მეორე რიგში — გივი ქილიტაური (უფროსი მწვრთნელი), ნიკო იაქაშვილი, ზვიად რამაზაშვილი, კახა ბარამიძე, კობა ადამაშვილი, გივი ჩინჩალაძე (მწვრთნელი), არჩილ ქლენტი, ზვიად ოქროპირიძე, შალვა დოლიძე, ალეკო ქილიტაური (მსაჯი).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის



# მეცხრე პარტია

მატჩ-რევანშის პირველი ნახევარი ფინიშის სწორზე გავიდა, ლონდონელ ჭადრაკის მოყვარულთა ინტერესი კი ამ შეჯიბრებისადმი დღითი დღე იზრდება. მატჩის ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ სადემონსტრაციო დაფა ოტელ „პარკ-ლეინის“ (სადაც მეტოქენი თამაშობენ) მახლობლად, გრინპარკში დაედგათ, ხოლო სვლებს რაციით გადასცემდნენ. ამ საშუალებას კი ჩვეულებრივ მხოლოდ პოლიციელები იყენებენ. რა თქმა უნდა, თვით დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე დადგებოდნენ გულშემატკივრები, როცა, დაფაზე ფიცხელი ბრძოლის ნაცვლად მეტად დუნე, საკმაოდ უინტერესო, საყაიმო პოზიცია შეიქმნა. სვლების სამგზის გამეორების შემდეგ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

**კარპოვი — კასპაროვი**

**გრიუნფელდის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. კf4 კg7 5. e3 c5 6. dc ლa5 7. ეc1 dc 8. კ:c4 0—0 9. მf3 ლ:c5 10. კb3 მc6 11. 0—0 ლa5 12. h3 კf5 13. მd4 კd7 14. ლe2 მ:d4 15. ed e6 16. კd2 ლb6 17. ეfd1 კc6 18. კe3 ლa5 19. კd2 ლb6 20. კe3 ლa5. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 5:4 გარი კასპაროვის სასარგებლოდ.

**საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი**

# ერთი საგზური მოპოვებულია! მეორე?..

**ქუთაისი, 22 აგვისტო (ტელეფონით, „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).** ქალთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის ფინიშზე სატურნირო ცხრილში გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა. მხოლოდ შეჯიბრების ლიდერს, უსკოვას არ ჰქონდა დასამთავრებელი პარტია, ხოლო მისი მდევრებიდან ვის ორორი ასეთი პარტია უნდა ეთამაშა, ვის — თითო. რაც შეეხება არახამიას, მას სამი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი, მაგრამ, სანამ მეტოქენი ხელმეორედ მიუსხდებოდნენ დაფებს, ჯერ **XII ტურის** პარტიები გათამაშდა. გთავაზობთ შედეგებს: ალიოხინა — არახამია 0:1, უსკოვა—სედინა 0,5:0,5, წერეთელი — სტრუტინსკაია 0:1, კულიში —ლომაკინა 1:0, მელაშვილი — ბოტვინიკი 1:0, ფათალიბეკოვა — ლაგვილავა 0,5:0,5. ერთი პარტია გადაიდო.

ამის შემდეგ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. როგორც იცით, არახამიას სამიდან ორ შეხვედრაში უკეთ ჰქონდა საქმე, ერთი პარტია კი საყაიმო პოზიციაში იყო გადადებული. ქეთევანმა ის ორი პარტია მოიგო და მესამეშიც (სედინასთან) მოინდომა გამარჯვება, მაგრამ რამდენიმე არაზუსტი სვლა გააკეთა და დამარცხდა. როგორც შემდეგ თვითონვე გვითხრა, იგი ფინიშის დაძაბულობამ გადაღალა. მართლაც, ხუმრობა ხომ არ არის ორ დღეში ოთხ მეტოქესთან შეხვედრა, სამაგიეროდ, მან უკვე მოიპოვა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური. ალბათ ფინალში ითამაშებს უსკოვაც, რომელიც ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიდერს. მესამე ადგილისთვის კი მეტად დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი. აქ ლაგვილავას უკეთ აქვს საქმე. თუმცა უმჯობესია ჯერ გადადებული პარტიების შედეგებს გავეცნოთ, მერე კი ვნახოთ, ვის რა მდგომარეობა და პერსპექტივა აქვს.

**VII ტურიდან** გადადებული პარტია: ბოტვინიკი — არახამია 0:1 (ეს შეხვედრა ორჯერ გადაიდო).

**X ტური:** კულიში — ლაგვილავა 0:1, მელაშვილი — ფათალიბეკოვა 1:0, არახამია — სტრუტინსკაია 1:0, ალიოხინა — სედინა 1:0.

**XI ტური:** ეშჩენკო — წერეთელი 1:0, ბოტვინიკი — კულიში 0,5:0,5, ლაგვილავა — მელაშვილი 0,5:0,5, ფათალიბეკოვა — ალიოხინა 0:1, სედინა — არახამია 1:0.

**XII ტური:** ნასიროვა — ეშჩენკო 0:1.

ამრიგად, ბოლო, **XIII ტურის** წინ ქეთევან არახამიას (თბილისი) 8,5 ქულა აქვს. ფლორა უსკოვამ (ალმა-ათა) 8 ქულა მოაგროვა. 7,5 ქულით მესამე ადგილზეა ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი). 7-7 ქულით IV-V ადგილებს იყოფენ ირინა კულიში (კრასნოიარსკი) და დიანა ეშჩენკო (ვლადივოსტოკი). 6,5-6,5 ქულა აქვთ ნატალია ალიოხინას (მოსკოვის ოლქი), გალინა სტრუტინსკაიას (მოსკოვი) და ელენა სედინას (კიევი).

XIII ტურში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს ლიდერთა შეხვედრები: არახამია — უსკოვა, ლაგვილავა — ალიოხინა, ეშჩენკო — კულიში.

**თამაზ ხარაბაძე.**

**ინფორმაცია**

## ჯერჯერობით უდანაკარგოდ

**მონრეალი.** აქ დაიწყო მსოფლიოს მეოცე ჩემპიონატი საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში, რომელშიც 32 ქვეყნის 350-მდე სპორტსმენი მონაწილეობს.

საბჭოთა ნაკრები ჯერჯერობით უდანაკარგოდ ასპარეზობს. სრული გუნდით განაგრძობენ შეჯიბრებას რუმინელებიც. კარგი სტარტი აიღეს ჩემპიონატში უნგრეთის, გდრ-ის, გფრ-ის, საფრანგეთისა და ახალი ზელანდიის გუნდებმაც.

## რეკორდი 31 წლის ასაკში

**ბერლინი.** გდრ-ის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა 31 წლის ვეტერანმა, მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა უდო ბაიერმა. მან ბირთვი 22 მეტრსა და 64 სანტიმეტრზე ჰკრა და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. ბაიერმა 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა ახალგაზრდა თანაგუნდელის ულფ ტიმერმანის მსოფლიო რეკორდი.

## ლენდლმა რევანში აიღო

**სტრეტონ-მაუნთინი (აშშ).** აქ გაიმართა ჩოგბურთელ ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბევრი ცნობილი სპორტსმენი მონაწილეობდა. ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი, დასავლეთგერმანელი ბორის ბეკერი და მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი (ალბათ გახსოვთ, რომ უიმბლდონის წლევანდელი ტურნირის ფინალშიც ეს ჩოგბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს). ამჯერად ლენდლმა უფრო ძლიერად ითამაშა და რევანში აიღო უიმბლდონში დამარცხებისთვის — 6:4, 7:6.

## სტუდენტთა ჩემპიონატზე

**ამერიკის** შეერთებული შტატების სტუდენტური კალათბურთი უხვად ამარაგებს პირველხარისხოვანი ვარსკვლავებით ამ ქვეყნის პროფესიულ ლიგებს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რასაც აშშ-ის სტუდენტთა ჩემპიონატი იწვევს. წლეულს ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტურ კალათბურთში ლიდერთა ერთგვარი ცვლა მოხდა: უკანასკნელი წლების აღიარებულმა ლიდერებმა — ჯორჯთაუნის, ვილანოვას, ჰიუსტონის გუნდებმა დათმეს მოწინავე პოზიციები. სტუდენტთა 1986 წლის ჩემპიონატში ლიდერთა როლში მოგვევლინენ ლუისვილის, დიუკის, არიზონისა და აიოვის უნივერსიტეტების ნაკრებები.

წლევანდელი ჩემპიონატის ფინალში, რომელიც ტეხასში გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ ლუისვილისა და დიუკის გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 77:75 გაიმარჯვა ლუისვილის უნივერსიტეტის ნაკრებმა.

მესამე ადგილზე გავიდა არიზონის უნივერსიტეტის გუნდი.

**მერაბ კალანდაძე.**

**ინფორმაცია**

# რუსლან პერტენავა



ქართული ტანვარჯიშული სკოლის უმდიდრეს ტრადიციებზე ბევრი შესანიშნავი ოსტატი და სამაგალითო მოქალაქე აღზრდილა. რუსლან პერტენავა მათ შორისაც გამორჩეული იყო რაინდული თვისებებით, გულისხმიერებით, კეთილი და ალალი გულით.

ტანვარჯიშის სიყვარული, როგორც ყველა ქართველ ახალგაზრდას, ბავშვობიდან დაჰყვა. იყო ბეჯითი, უტეხი და მეოცნებე. ერთი რომელიმე რთული ილეთის შესწავლაზე შეეძლო გაეთენებინა. თავის თავზე ბევრს მუშაობდა, მაგრამ უფროსი ამხანაგის ან მწვრთნელის სიტყვა მისთვის კანონი იყო.

სკოლის ასაკშივე თითით საჩვენებელი ტანმოვარჯიშე გახდა და მალე დიდ სარბიელზე წარმატებასაც მიაღწია. იმ პერიოდში ადვილი საქმე არ იყო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობა. რუსლანმა ეს ზღვარი იოლად გადალახა.

თბილისში მაშინ ოსტატი-ტანმოვარჯიშე არც ისე ბევრი იყო, მაგრამ რუსლან პერტენავას მეოცნებე ბუნება ერთხელ მოპოვებულ წარმატებაზე არ ჩერდებოდა. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა დინამოელთა საკავშირო ტურნირებშიც არაერთხელ გამოიჩინა თავი, წარმატებით უასპარეზია საერთაშორისო ტურნირებშიც, წლების მანძილზე რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდა უმაღლეს დონეზე, იყო სტუდენტთა საკავშირო სპორტული თამაშების არაერთგზის ჩემპიონი.

სპორტი, როგორც პატიოსანი ბრძოლის ასპარეზი, განსაკუთრებით ახლოს იყო მის ბუნებასთან. სპორტიდან წასვლის შემდეგ იგი ამ პრინციპების ერთგული დარჩა — პატიოსანი, სიმართლის მოყვარული და სამართლის უანგარო მცველი. ადამიანი თავის პიროვნულ პორტრეტს თვითონვე ქმნის — ყოველდღიურ ცხოვრებაში, საქმიანობაში, ადამიანებთან ურთიერთობაში. რუსლან პერტენავამ ბევრი რამ მოასწრო ცხოვრებაში, მაგრამ ბევრი ოცნება განუხორციელებელი დარჩა.

გაისად იგი ორმოცდაათი წლისა გახდებოდა.

**ამხანაგების ჯგუფი.**

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი 33-ე ტირაჟებისა, რომლებიც 17 აგვისტოს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-იდან:** გაიყიდა 702.511 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (14 ბარათი) მოგება 3625 მანეთია, ოთხისთვის (1150) — 54, სამისთვის (24475) — 4.

**„სპორტლოტო 5 36“-იდან:** გაიყიდა 5.858 967 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (15 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1976) — 298, სამისთვის (101.829) — 10.

33-ე ტირაჟისა და ატირაჟიანი (24-დან 33-ის ჩათვლით) ბარათების მოგებათა განაღდება 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 23 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — **9.00** (2); რიტმული ტანვარჯიში — **9.30** (2); მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სპორტის სახეობებში — **13.05** (1); **17.40** (1); **20.30** (2); **23.55** (1); მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვი — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **20.00** (1); მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში — **21.15** (2);

**საქართველოს ტელევიზია.** 23 აგვისტო. კალათბურთის სატელევიზიო სკოლა — **14.30**; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვი — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **20.00**.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

**31 აგვისტო ⊙ ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო“ (თბილისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო)**

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 26, 27 აგვისტოს, ხოლო სტადიონის სალაროებში — 26 აგვისტოდან, შეფარდებით ერთი-ერთზე.

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთის შეძენა შეუძლიათ 31 აგვისტოს 12 საათამდე № 7 სალაროში.

სსრ კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატების, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

• • •

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 30 აგვისტოს „დინამოს“ სტადიონზე.

უამინდობის შემთხვევაში დუბლიორთა მატჩი შედგება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

დასაწყისი 19 საათზე.



ახლოვდება პირველი სექტემბერი. ამ დღეებში ყველგან ხალხმრავლობაა იმ მაღაზიებში, სადაც სასკოლო ასორტიმენტის საქონელი იყიდება. სწორედ ამიტომ საცალო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ დედაქალაქის სპორტულმა მაღაზიებმა თბილისის სპორტის სასახლის წინ მოაწყვეს სპეციალური ბაზრობა, სადაც სარეალიზაციოდ გამოტანილია ბავშვებისათვის განკუთვნილი სპორტული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ფიზკულტურაში შინ სავარჯიშო ინვენტარი. ბაზრობა 10 სექტემბრამდე გასტანს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612